როდესაც შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იგი გაგზავნა იემენში, მას უბრძანა, რომ ყოველი ოცდაათი ძროხიდან აეღო (ზაქათად) ერთი წლის მამალი ან დედალი მოზარდი

მუ'აზისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან თქვა: როდესაც შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იგი გაგზავნა იემენში, მას უბრძანა, რომ ყოველი ოცდაათი ძროხიდან აეღო (ზაქათად) ერთი წლის მამალი ან დედალი მოზარდი, ყოველი ორმოცი ძროხიდან კი ორი წლის მოზარდი, ყოველი ზრდასრულისგან -ანუ მოწიფული- ერთი დინარი ან მისი საფასური სამოსი, იემენში გავრცელებული სამოსისაგან.
[სანდო მისი მოწმეებით] [رواه أبو داود والترمذي والنسائي وابن ماجه وأحمد]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გაგწავნა მუ'აზ იბნ ჯაბალი (ალლაჰი იყოს მისით კამაყოფილი) იემენში, რათა მოეწოდებინა და ესწავლებინა მათთვის, ერთ-ერთი რაც მას უბრძანა იყო, რომ მას მუსლიმებისგან აეღო ზაქათი, ყოველ ოცდაათ ძროხაზე უნდა აეღო ერთი წლის დედალი ან ერთი წლის მამალი ხბო; ყოველ ორმოც სულზე კი - ორი წლის მოზარდი. და რომ აეღო ჯიზია (გადასახადი) წიგნბოძებული ხალხიდან იუდეველების და ქრისტიანებისაგან, ყოველი ზრდასრული მამაკაციდან ერთი დინარი, ან მისი საფასური იემენური ტანისამოსი, რომელსაც "მა'ააფირი" ეწოდებოდა.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/64632